DAAD/OSI-ს ერთობლივი სამაგისტრო სტიპენდიები

კონკურსის წინაპირობები:

- სტუდენტი, რომელსაც განაცხადი შემოაქვს DAAD/OSI ერთობლივ სამაგისტრო სტიპენდიაზე უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე. თუკი აპლიკანტი განაცხადის შემოტანის მომენტში საზღვარგარეთ იმყოფება, მას არ აქვს კონკურსში მონაწილეობის უფლება.

- DAAD/OSI უნივერსიტეტების ჩამონათვალიდან კონკურსანტმა უნდა აარჩიოს მისთვის სასურველ სამი უნივერსიტეტი.

- თუკი კონკურსანტს უკვე მიღებული აქვს სამაგისტრო ხარისხი საზღვარგარეთ და კიდევ ერთხელ სურს მაგისტრატურის გავლა გერმანიაში, მას უნდა ჰქონდეს კონკრეტული მოტივაცია, თუ რისთვის უნდა სამაგისტროს გავლა მეორედ.

- კონკურსანტები, რომლებსაც უკვე დაწყებული აქვთ სწავლა გერმანიაში მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში, კონკურსზე არ დაიშვებიან.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ჰუმანიტარული, საზოგადოებრივი და სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებს. ამ კატეგორიას მიეკუთვნება **სოციოლოგია, პოლიტოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, იურისპუდენცია, ეკონომიკა, საზოგადოებრივი მართვა, განათლების მენეჯმენტი და ფილოსოფია.** გამონაკლის შემთხვევებში საბუთების შემოტანა შეუძლიათ ასევე სხვა სპეციალობის წარმომადგენლებს, თუკი მათი პროფესია მოიაზრება სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების რანგში.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ დაინტერესებულ პირებს, რომელთაც აქვთ ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების დიპლომი ან განაცხადის შემოტანის მომენტში იმყოფებიან ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის დამამთავრებელ კურსზე.
.

- HU Berlin
  Master of Economics and Management Science
  w.mastersprogram.de

- U Bremen
  Europäisches und Internationales Recht
  www.europarecht.uni-bremen.de

- U Düsseldorf
  Sozialwissenschaften – „Gesellschaftliche Strukturen und demokratisches Regieren“
  www.phil-fak.uni-duesseldorf.de/sozwiss/studierende/master-sozialwissenschaften/pruefungs-und-studienordnung/de

- KU Eichstätt-Ingolstadt
  Master Internationale Beziehungen
  www.ku-eichstaett.de/studiengaenge/ma_intbez/

- KU Eichstätt-Ingolstadt
  Philosophie und Soziologie im Flexiblen Masterstudiengang
  Philosophie: www.ku-eichstaett.de/ppf/philosophie/philosophie/studiengaenge/
  Soziologie: www.ku-eichstaett.de/ggf/soziologie/studiengaenge/

- U Flensburg
  European Studies
  www.europeanstudies.info

- U Freiburg
  Integrated Master Program in Economics
  http://master.econ.uni-freiburg.de

- U Freiburg
  MSc Environmental Governance
  www.meg-uni-freiburg.de

- HS Fulda
  Interkulturelle Kommunikation und Europa-Studien
  www.hs-fulda.de/iceus

- U Hamburg/ Europa-Kolleg Hamburg
  European and European Legal Studies
  www.europa-kolleg-hamburg.de/europa-kolleg-hamburg/master-programm/masterstudiengang/

- U Hamburg
  Fiedensforschung und Sicherheitspolitik
  ww.ifsh.de/index.php/mps.htm

- U Hannover
  European Studies
  ww.europa.uni-hannover.de

- U Kassel
  Global Political Economy
  www.uni-kassel.de/go/gpe

- FH Köln
  Pädagogik und Management in der Sozialen Arbeit
  www.f01.fh-koeln.de/studium/studiengaenge/mapam/

- U Konstanz
  Master´s Programme in Economics
  www.uni-konstanz.de/msc-economics

- U Leipzig
  European Economic Integration/ Central and Eastern Europe
  www.wifa.uni-leipzig.de/ziw/master-eeicee.html

- U Magdeburg
  International Economics and Finance
  www.fww.ovgu.de/studium/unterpunkte/master/intern_economics_and_finance-p-269.html

- U Magdeburg
  Friedens- und Konfliktforschung
  www.fkf.ovgu.de

- U Mannheim
  Volkswirtschaftslehre
  http://master.vwl.uni-mannheim.de/

- U Passau
  Deutsches Recht für ausländische Studierende (LL.M.)
  www.jura.uni-passau.de/1025.html
-
- U Regensburg
  Ost-West-Studien
  www.uni-regensburg.de/europaeum/studium/ostweststudien/index.html

- U des Saarlandes
  Europäische Integration
  www.europainstitut.de
-
- DHV Speyer
  Master of Arts Administrative Sciences
  www.dhv-speyer.de/Studium/Master/MAS/index.htm

- U Trier
  M. Sc. In Economics
  www.vwl-master.uni-trier.de

ზემოთ მითითებულ ინტერნეტ-მისამართებზე თქვენ შეგიძლით მოიპოვოთ ამომწურავი ინფორმაცია ცალკეული სამაგისტრო კურსის, მათი სასწავლო პროგრამის, აგრეთვე ენობრივი და პროფესიული მოთხოვნების შესახებ. გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას სამაგისტრო კურსის დაწყების, მისი ხანგრძლივობის, ჩარიცხვის, გადასახადებისა და ენის მოთხოვნების შესახებ და სწორად შეაფასოთ აკმაყოფილებთ თუ არა უნივერსიტეტის მოთხოვნებს.

კონკურსანტი სააპლიკაციო ფორმაში უთითებს მის მიერ ამორჩეულ სამ უნივერსიტეტს, რომელთაგან გამოყოფს პრიორიტეტულს. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ უნივერსიტეტში ადგილის სიმცირის გამო, სტიპენდიატს დამატებით მოუწიოს მეოთხე/მეხუთე უნივერსიტეტის მოძიება.

გერმანული ენის არცოდნის შემთხვევაში ინგლისურენოვან სტიპენდიატებს DAAD უნიშნავს ენის კურსს, რომლის გავლაც სავალდებულოა.

იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი განაცხადს აკეთებს ინგლისურ ენაზე, მაგრამ იმავდროულად ფლობს გერმანულ ენას, მან საბუთებს უნდა დაურთოს გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, მისი არქონის შემთხვევაში კი დაწეროს OnDaF ენის ტესტიDDAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრში. ეს სერტიფიკატი ზეგავლენას არ იქონიებს საბუთების ბედზე, მას DAAD იყენებს საორიენტაციოდ, რათა ზუსტად განსაზღვროს რამდენთვიანი ენის კურსი ესაჭიროება სტიპენდიატს.

ინგლისურენოვანი კონკურსანტები განაცხადის შემოტანის ბოლო ვადამდე
(31 ოქტომბერი) წარადგენენ TOEFL ან IELTS დარეგისტრირების ცნობას, ხოლო თებერვლის შუა რიცხვებისთვის შესარჩევი კომისიის ჩამოსვლისთვის ტესტის შედეგებს.

საჭირო საბუთები:

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ოთხ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი, სამი ასლი). მოწმობები ნოტარიუსის გარდა შეიძლება დამოწმდეს შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის მიერ. ფორმულარი უნდა შეივსოს გერმანულ ან ინგლისურ ენაზე. თარგმანები შეიძლება შესრულებულ იქნას როგორც გერმანულ, ისე ინგლისურ ენაზე .

- Online-ფორმულარი თუ შეიძლება ფორმულარში მიუთითეთ თქვენს მიერ მოცემული სიიდან შერჩეული სამი უნივერსიტეტი პრიორიტეტების მიხედვით.

  1 ოქტომბრიდან ყოველ პარასკევს, DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრში, 16.00-18.00 სთ.-მდე მოეწყობა საკონსულტაციო შეხვედრები კონკურსანტებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ონლაინ ფორმულარის შევსების ტექნიკით. დასწრება თავისუფალია.

- 4 ფოტოსურათი (გთხოვთ ფოტოები ჩააკრათ სააპლიკაციო ფორმულარში მითითებუილ ადგილას

- ავტობიოგრაფია (კონკურსანტს შეუძლია დაეყრდნოს CV-ს ნებისმიერ ნიმუშს მოძიებულს ინტერნეტის საშუალებით).

- ოფიციალური (ინტერნეტიდან ამობეჭდილი) ინფორმაცია არჩეული სამაგისტრო კურსების შესახებ:

  - პროგრამის დაწყების დრო
  - პროგრამის ხანგრძლივობა
  - სწავლების ენა
  - სწავლის გადასახადი
  - მისაღებ კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები
  - კონკურსის ვადები
  - საკონტაქტო მისამართი

- გთხოვთ მონაცემების შესავსებად გამოიყენოთ DAAD-ს საინფორმაციო ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებული სპეციალური ფორმულარი.

- მოტივაციის წერილი, რომელშიც ზუსტად და თანმიმდევრულად იქნება ჩამოყალიბებული კონკურსანტის პირადი და პროფესიული მიზნები სამაგისტრო კურსთან მიმართებაში. მოტივაციის წერილის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია კონკურსანტმა ზუსტად იცოდეს თუ რატომ აირჩია მითითებული სამი უნივერსიტეტი. მას მოტივაციის წერილშივე შეუძლია მიუთითოს, რომელია მოცემული უნივერსიტეტებიდან მისთვის პრიორიტეტული.

- 2 ქართველი პროფესორის რეკომენდაცია (ივსება შესაბამისი ფორმულარი).

- აპლიკანტის მიერ შერჩეული უნივერსიტეტისაგან მოთხოვნილი ტესტები:
  TOEFL, IELTS, GRI (დამატებითი ინფორნაცია იხილეთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე).

- სამივე სამაგისტრო კურსის სააპლიკაციო ფორმულარი შევსებული სრულყოფილი სახით.

- დიპლომი (ბაკალავრი, მაგისტრი ან 5-წლიანი) ნიშნების ფურცელთან ერთად მას შემდეგ რაც დოკუმენტი ითარგმნება გერმანულ/ინგლისურ ენაზე საჭიროა მისი ნოტარიული ან უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმება. ინგლისურ ენაზე გაცემული დოკუმენტები თარგმანს აღარ საჭიროებს.

მე-4 კურსის სტუდენტები წარადგენენ ამონაწერს ნიშნების ფურცლიდან და ცნობას რომ იმყოფებიან დამამთავრებელ კურსზე. დოკუმენტი ასევე ითარგმნება და მოწმდება ნოტარიუსის მიერ.

- საშუალო სკოლის ატესტატი ნიშნების ფურცელთან ერთად. მას შემდეგ რაც დოკუმენტი ითარგმნება გერმანულ/ინგლისურ ენაზე საჭიროა მისი ნოტარიული დამოწმება.

- ენის სერტიფიკატი.

გერმანული ენის შემთხვევაში:

თუკი კონკურსანტი არ ფლობს მის მიერ შერჩეული უნივერსიტეტისაგან მოთხოვნილ ენის სერტიფიკატს (დამატებითი ინფორნაცია გთხოვთ მოიძიოთ უნივერსიტეტის საიტზე) მისთვის სავალდებულოა DAAD-ს მიერ შემოთავაზებული OnDaF ტესტის გავლა (www.ondaf.de) და შესაბამისად 31 ოქტომბრამდე რეგისტრაციის ფურცლის წარდგენა.

OnDaF - ტესტზე რეგისტრაცია დაიწყება **29** ოქტომბერს და გაგრძელდება **2** ნოემბრის ჩათვლით / **09.00-17.00** სთ **-** მდე **.** რეგისტრაციისათვის მიმართეთ საქართველოს გოეთეს ინსიტუტს ზანდუკელის ქ .16. საკონტაქტო პირი ეკა კილაძე - ღვინაძე (პირველი სართული). ტელ . +995 32 93 89 45

გამოცდა ჩატარდება **5, 6, 7, 8, 9** ნოემბერს

გამოცდის დროები (ყოველ ერთ საათში ერთხელ)

10.00 – 11.00, 11.00 – 12.00, 12.00 – 13 .00, 13.00 – 14.00, 14.00 – 15.00, 15.00 – 16.00

გთხოვთ**,** რეგისტრაცაზე მისვლამდე ზემოთ მოცემული დღეებიდან და საათებიდან ყურადღებით შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი! **გთხოვთ,** რეგისტრაციისას თან იქონიოთ გამოცდის საფასური **15** ლარი და **პირადობის მოწმობა !**

ინგლისური ენის შემთხვევაში:

თუკი კონკურსანტი არ ფლობს მის მიერ შერჩეული უნივერსიტეტისაგან მოთხოვნილ ენის სერტიფიკატს (IELTS, TOEFL)იგი თვითონ ზრუნავს ენის სერტიფიკატის მიღებაზე ანუ ტესტის ჩაბარებაზე. განაცხადის შემოტანისას (31 ოქტომბერი) კონკურსანტს უნდა ჰქონდეს ტესტზე რეგისტრაციის ცნობა. ხოლო თებერვლის შუა რიცხვებისთვის კი ენის სერტიფიკატი.

თებერვლის თვეში გასაუბრებაზე მან უნდა წარმოადგინოს კონკურსანტმა GMAT ან GRI ტესტის შედეგები. თუკი რაღა თქმა უნდა მათ მიერ შერჩეული უნივერსიტეტი ამ უკანასკნელს მოითხოვს. განაცხადის შემოტანისას კონკურსანტი წარადგენს მხოლოდ GRI ტესტზე რეგისტრაციის ფურცელს.

- პრაქტიკის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

კონკურსის ყველა მონაწილე, რომელიც 2012 წლის 31 ოქტომბრამდე ჩააბარებს სრულყოფილ საბუთებს, 2013 წლის თებერვლის შუა რიცხვებისთვის მოწვეული იქნება გასაუბრებაზე. საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას მოცემული თანმიმდევრობით ! არასრული საბუთები არ განიხილება !
საბუთების მიღების ბოლო ვადა: 31 ოქტომბერი 2012 (18:00 სთ)